საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2022 წლის აპრილი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2022 წლის აპრილის თვეში.

საქართველოს კანონი საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის შესახებ

2022 წლის 12 აპრილს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^5 მუხლში შევიდა რიგი ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა შენობა-ნაგებობის მშენებლობისას საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის განსაზღვრული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების დროებითი წესი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 330090000.05.001.020547

კანონი ამოქმედდა 2022 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“

2022 წლის 14 აპრილს შევიდა ცვლებები „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტში და ის ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„6. ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი, რომელიც პირს 1 ოქტომბრამდე უსრულდება.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430050000.05.001.020549

კანონი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-3

2022 წლის 4 აპრილს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის №ნ-3 ბრძანებით შემოღებულ იქნა ქართულ ენაზე სამოქმედოდ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ მიღებული და გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები – 2022 წელი (შემდგომ – სტანდარტები).

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 260000000.64.076.016107

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ

2022 წლის 6 აპრილს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული სასწავლო გეგმის“ 64-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მშობლიური ენა და ლიტერატურა არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისთვის დაწყებით საფეხურზე“;

ბ) მე-2 პუნქტის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მშობლიური ენა და ლიტერატურა არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისთვის საბაზო საფეხურზე ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენა და ლიტერატურა“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018156

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2022 წლის 12 აპრილს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №111 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №257 ბრძანებაში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვით განისაზღვრა ინსტრუქციების დანართების ახალი რედაქცია.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017579

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №144

2022 წლის 13 აპრილს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №144 ბრძანებით განისაზღვრა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობა და მათი გადახდის წესი.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 070030000.22.027.017309

ბრძანება ამოქმედდა 2022 წლის 18 აპრილიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №98

2022 წლის 20 აპრილს „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №98 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა რიგი ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა ბიომეტრიული ფოტოსურათის წარდგენის წესი.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010130000.22.027.017312

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №50

2022 წლის 20 აპრილს „დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №50 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვით მომსახურების განხორციელებისათვის

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

დოკუმენტები, გარდა ფოტოსურათისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით. დოკუმენტების წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010130000.22.027.017314

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №99

2022 წლის 20 აპრილს „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობის გაცემისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №99 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვით მოწმობის შესაცვლელად პირმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს სააგენტოს უფლებამოსილ ტერიტორიულ სამსახურს. განცხადებასთან ერთად პირმა უნდა წარადგინოს მოწმობა (გარდა მოწმობის დაკარგვის შემთხვევისა), მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და ფერადი ბიომეტრიული ფოტოსურათი, ზომით 3,5x4,5 სმ., ელექტრონული ფორმით.“.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010130000.22.027.017315

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/50

2022 წლის 20 აპრილს „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/50 ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესში“ შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვით საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება სახელმწიფო ორგანოსთვის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, მუნიციპალიტეტისათვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის, სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოსათვის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის საწარმოს ხელმძღვანელის (სამეთვალყურეო საბჭოს არსებობისას – მისი წინასწარი თანხმობით) გადაწყვეტილებით და ქონების სააგენტოსთან შეთანხმებით, ელექტრონული აუქციონის გარეშე.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030040.22.024.016737

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №520

2022 წლის 1 აპრილს „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ №520 დადგენილებაში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვით დადგინდა ფერადი ფოტოსურათის, ზომით 3/4, ელექტრონული ფორმით წარდგენა.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010120000.10.003.023378

დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 15 აპრილიდან.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება №509

2022 წლის 21 აპრილს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №509 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის მიხედვით დადგინდა უძრავ ნივთზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, სახელმწიფო ტყის საზღვრის ცვლილებების, ასევე მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის რეგისტრაციის, იპოთეკის მოწმობის გაცემის, მასში ცვლილების, მასზე ნებისმიერი სამართლებრივი ხასიათის შენიშვნის რეგისტრაციისა და სხვა მომსახურების მოსაკრებელის გადახდევინების წესი და ოდენობა.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040150000.10.003.023427

დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 1 მაისიდან. დადგენილების მოქმედება გავრცელდა დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ წარდგენილ განცხადებებზე.

Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge